საკონკურსო განცხადება
პროექტის კოორდინატორი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა, ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ ფარგლებში **აცხადებს კონკურსს პროექტის კოორდინატორის შესარჩევად.**

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ
საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. მისი მისიაა, საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისათვის იხილეთ საიტი https://csrdg.ge/.

საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით ორგანიზაცია 2009 წლიდან მუშაობს და ამ მიმართულებით მისი ძირითადი საქმიანობებია: საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობისა და ბაზრის მონიტორინგი; საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირება.

მეტი ინფორმაცია მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის შესახებ იხილეთ საიტზე momxmarebeli.ge.

ინფორმაცია პროექტის შესახებ
კონკურსი ცხადდება ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ მიერ. პროექტს ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია.

პროექტი მიზნად ისახავს:

1. მერძევეობისა და მეფუტკრეობის მიწოდების ჯაჭვის მხარეების (ფერმერები, ძირითადი მწარმოებლები, სურსათის სხვა ბიზნესოპერატორები) პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ცოდნითა და გაძლიერებული შესაძლებლობებით აღჭურვა, რათა გაუმჯობესდეს მათი საქმიანიბის შესაბამისობა სურსათის უვნებლობისა და სანიტარიულ/ფიტოსანიტარიულ ნორმებთან;

2. დაინტერესებული მხარეების (საჯარო, საცალო ვაჭრობის, ფერმერების/მწარმოებლების, ლაბორატორიების, მომხმარებლების) გაუმჯობესებული კომუნიკაცია და მონაწილეობა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ რეფორმის პროცესში;

3. მომხმარებლების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და მედიის ცნობიერების ამაღლება სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი მოთხოვნებისა და მომხმარებლის უფლებების შესახებ, უკეთ ინფორმირებული მომხმარებლის და მისი ყიდვის გაცნობიერებული გადაწყვეტილების და ხარისხიან პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნის ხელშეწყობის მიზნით.

CSRDG შემდეგ ძირითად საქმიანობას განახორციელებს:

- საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია.
- ხელისუფლებისა და მეწარმეების მონიტორინგი და გამოვლენილი პრობლემების მოგვარების ადვოკატირება.

ზემოაღნიშნულ საქმიანობაში ჩართულები იქნებიან რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა შერჩევაც პროექტის დასაწყისში მოხდება. ამ მიზნით, დაგეგმილია 8 გრანტის გაცემა.

პროექტის სამიზნე რეგიონებია: კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი.

პროექტის კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობები

პროექტის კოორდინატორი საქმიანობს პროექტის მენეჯერის უშუალო ხელმძღვანელობით და მისი საქმიანობის მიზანია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ეფექტური მართვა და კოორდინირება. კერძოდ, იგი პასუხისმგებელია შემდეგი საქმიანობების განხორციელებაზე:

- განსახორციელებელი აქტივობების დეტალური დაგეგმვა პროექტის მენეჯერთან ერთად;
- პროექტის გუნდთან ერთად ერთწლიანი დეტალური გეგმების შემუშავება;
- შემუშავებული გეგმების განხორციელების მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში, გეგმებში კორექტივების შეტანა მენეჯერთან შეთანხმებით;
- აქტივობების განხორციელების შინაარსობრივ ნაწილში თანამონაწილეობა;
- პროექტის სამიზნე რეგიონებში დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების დაგეგმვა, კოორდინირება და მონაწილეობა;
- პროექტის საქმიანობების განსახორციელებლად საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და ადმინისტრაციული დოკუმენტაციის მომზადება;
- გრანტების მონიტორინგი, მათ შორის, ადგილზე ვიზიტები;
- გრანტის მიმღებ ორგანიზაციებთან ერთობლივი საქმიანობის კოორდინაცია. საჭირო ინფორმაციის რეგულარული შეგროვების მონიტორინგი და ანალიზი;
- განსახორციელებელი აქტივობების ფინანსურ მართვაში მონაწილეობა (ხარჯვის მონიტორინგი, ფინანსური ანგარიშების განხილვა);
- პროექტის ანგარიშისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანგარიშების მომზადება;
- პროექტის ხილვადობის უზრუნველყოფა, პრეს-რელიზებისა და სხვა დოკუმენტების პირველადი ვერსიების მომზადება;
- დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიება, გუნდთან ერთად, პროექტის თანამონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით;
- საჭიროებისამებრ პროექტის კოორდინატორისა და გუნდის წევრების მხარდაჭერა სხვა საქმიანობებში.

ძირითადი მოთხოვნები
განათლება

ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, მართვის ან სხვა შესაბამის სფეროში.

ცოდნა და გამოცდილება

- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროგრამების/პროექტების მართვის, სულ მცირე, 2 წლის გამოცდილება;
- ინგლისური ენის უმაღლეს დონეზე ცოდნა;
- სულ მცირე, ორკაციანი გუნდის მართვის გამოცდილება;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მართვის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების სპეციფიკის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად;
- სურსათის უვნებლობის, მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში განათლება/მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად.

უნარ-ჩვევები

- კომუნიკაციის კარგი უნარი, განსაკუთრებით, აქტიური მოსმენისა და კონსტრუქციული განხილვის უნარი;
- მაღალი ორგანიზებულობის უნარი;
- გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომპლექსური ამოცანების გადაჭრის უნარი;
- გამართული ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ღირებულებები

- „არ ავნო“ პრინციპის გათვალისწინება საქმიანობის ყველა ეტაპზე;
- ადამიანის ინდივიდუალობისა და პირადი სივრცის პატივისცემა;
- მაღალი მიმღებლობა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ;
- ურთიერთდახმარებასა და გუნდურობაზე ორიენტირებულობა;
- კონფიდენციალობა.

ანაზღაურება
ანაზღაურება განისაზღვრება ინდივიდუალურად, კანდიდატის ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:

- სამოტივაციო წერილი,
- CV.

განაცხადები უნდა გამოიგზავნოს ელფოსტის მისამართზე tamar.gobejishvili@csrdg.ge.
წერილის საგნის ველში მიუთითეთ „პროექტის კოორდინატორი“.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 6 თებერვალი.

CSRDG დაუკავშირდება მხოლოდ ინტერვიუსათვის შერჩეულ კანდიდატებს.